საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/406 „28" დეკემბერი 2012წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ ფიჭური და ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებზე გამოცხადებულია შესაბამისად კონსოლიდირებული და ელექტრონული ტენდერები, რომელთა პირობების მიხედვით გამარჯვებული მიმწოდებლების მიერ აღნიშნული მომსახურების განხორციელება უნდა დაიწყოს არაუგვიანეს 2013 წლის 1 თებერვლისა.

სატენდერო პროცედურების დასრულებამდე, 2013 წლის იანვრის თვეში, საერთო სასამართლოების სისტემის გამართული ფუნქციონირების მიზნით აუცილებელია ფიჭური და ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების განხორციელება. შექმნილი მდგომარეობის დაუყოვნებლივ მოგვარებისა და ტენდერის ჩატარებისათვის საჭირო ვადების გათვალისწინებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე:

ა) შექმნილი მდგომარეობა შეფასდეს როგორც გადაუდებელი აუცილებლობა;

ბ) თანხმობა მიეცეს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო ვადების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

გიორგი ობგაიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
მდივნის მოვალეობის შემსრულებელი